განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მასობრივი კომუნიკაცია
სადოქტორო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები:
17,18 და 19 ნოემბერი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
20 დეკემბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მასობრივი კომუნიკაცია Mass communication
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი Doctor of Mass Communication
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა - 0321 Journalism and Reporting
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	30 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 26.07.2012 - გადაწყვეტილება № 280

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შოშიტაშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ გაგუა, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მასობრივი კომუნიკაციი სადოქტორო პროგრამა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტმა 2008 წელს შეიმუშავა თავდაპირველი სახელწოდებით „ჟურნალისტიკა“ (მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჟურნალისტიკის მეცნიერებათა დოქტორი). მისანიჭებელი კვალიფიკაცია იმავე წელს შეიცვალა და ფორმულირებით „ჟურნალისტიკის დოქტორი“ ჩამოყალიბდა.
დარგის უაღრესად პრაქტიკული სპეციფიკიდან გამომდინარე, მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტები სადოქტორო საფეხურზე სწავლას იშვიათად აგრძელებენ, შესაბამისად ქვეყანაში ამ მიმართულებით სადოქტორო პროგრამების სიმცირეა და შესაბამისად, დარგში მომუშავე აკადემიური ხარიხის მქონე პირების რაოდენობაც საკმაოდ დაბალია. ამ ვითარებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამ სადოქტორო პროგრამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სადოქტორო პროგრამების განხორციელების უაღრესად დიდი გამოცდილება და ტრადიცია აქვს. იგი აგრეთვე გახლავთ პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც ჟურნალისტიკის სწავლება წამოიწყო ქვეყანაში.
პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წელს. მას შემდეგ, ხელახალ აკრედიტაციამდე, უნივერსიტეტემა განახორციელა ტექნიკური, სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილება, მათ შორის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების, პროგრამის შინაარსის სრულყოფის, შრომის ბაზრის ტენდენციების გაზიარების მიზნითა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 17, 18 და 19 ნოემბერს. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეფასება უმეტესწილად განხორციელდა დისტანციურად, zoom პროგრამის მეშვეობით. შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან. შეხვედრა ასევე გაიმართა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. 2021 წლის 17 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა და უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი (თსუ კორპ 6). სააკრედიტაციო ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა

ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აგრეთვე, მიმოიხილეს თსუ-ს სხვა სასწავლო რესურსები, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძებო სისტემასა და ბაზებს.

აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, პროფესიულ და თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“ სრულ შესაბამისობაშია 1,2,3, 4 და 5 სტანდარტებთან. რეკომენდებულია 1.1. და 3.2. ქვესტანდარტის გადახედვა, რათა პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის თეორიულ ხასიათთან და აკადემიური პესონალის დატვირთვა უფრო ადექვატური გახდეს.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის თეორიულ და კვლევით ბუნებასთან და პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ იქნას ჟურნალისტური პრაქტიკული უნარ-ჩვევები.
  - რეკომენდებულია, მეტი აკადემიური პერსონალის დამატება, რათა მოხდეს ხელმძღვანელობის დატვირთვის გადანაწილება.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია დოქტორანტები უკეთ იყვნენ ინფორმირებულები პროგრამის შესახებ
  - სასურველია უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტების პროფესიული ცოდნის შემოწმებას გასაუბრების და/ან გამოცდის მეშვეობით
  - სასურველია პროგრამის დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს უცხო ენის კომპეტენცია და უზრუნველყოფილ იქნას განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც (მათ შორის პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისი ინფორმაციის).
  - სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის დოკუმენტაცია შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან.
  - სასურველია უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტების პროფესიული ცოდნის შემოწმებას გასაუბრების და/ან გამოცდის მეშვეობით.
  - სასურველია უნივერსიტეტმა მაქსიმალურად უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში.
  - სასურველია დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში.
  - ინტერვიუს ფარგლებში გამოვლენილი არათანაბარი ინფორმაციულობის გათვალისწინებით, სასურველია გააქტიურდეს დამატებითი აქტივობების ინიცირება სტუდენტთა და მოწვეულ ლექტორთა ჩართულობის წახალისებისთვის.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მექანიზმი, ე.წ. აკრედიტაციის სიმულაციური ფორმატი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
    - პროგრამის თვითშეფასებისა და შესაბამისი პროცესების ელექტრონულ პლატფორმაზე გადატანა.

- **ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხი, რომელიც იზიარებს წინამდებარე დასკვნაში მოყვანილ რეკომენდაციებს, რაც მისასალმებელია.

აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა ერთობლივი პოზიციის გათვალისწინებით, გასწორდა ტექნიკური უზუსტობა, თუმცა დასკვნა დარჩა უცვლელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ მიზნები ცხადად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებასა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაზე, ახალი ცოდნის შექმნაზე, შენახვასა და გავრცელებაზე, კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებაზე. ○ მიზნები ასევე ნათლად ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულებს შესძენს იგი ქვეყანას. ○ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამის მიზნები, სრულ შესაბამისობაშიაა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომელიც პრიორიტეტად სახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობას. ○ მიზნებში გაცხადებულია, რომ პროგრამა ამზადებს მომავალ ლექტორებს და მკვლევრებს ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულებით, რაც ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის უაღრესად პრაქტიკული ბუნებიდან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია. ამჟამად საქართველო დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის სიმცირეს განიცდის და, შესაბამისად, პროგრამა უაღრესად მნიშვნელოვანია სფეროს განვითარებისათვის, მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით კვლევების წახალისების და განვითარებისთვის. ○ პროგრამის მიზნები თანხვედრაშია დასაქმების ბაზარის მოთხოვნებთან, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, შრომის ბაზარი ქმედით მედიამკვლევრებს საჭიროებს, რასაც ემსახურება სადოქტორო პროგრამა. ○ პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და ითვალისწინებს ქვეყნისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიმართულია ქვეყანაში ჯანსაღი მედია გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე მასობრივი კომუნიკაციის სფეროში კვლევების წარმოებისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია, ქვეყანაში დემოკრატიის განმტკიცებისათვის ○ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ერთ-ერთ მიზანი გულისხმობს დოქტორანტებისთვის თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციის სფეროში კვლევისა და კრიტიკული ანალიზის უნარებთან ერთად, ჟურნალისტის პროფესიულ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ეს, სავარაუდოდ, ტექნიკური ხარვეზია, ვინაიდან

პროგრამის მთლიანად კვლევითი ხასიათიდან გამომდინარე მისი არც ერთი კომპონენტი არ არის მიმართული ჟურნალისტური პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომები ○ სასწავლო კომპონენტის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ○ დასაქმების ბაზრის კვლევა
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები შესამაბისობაში მოვიდეს პროგრამის თეორიულ და კვლევით ბუნებასთან და პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ იქნას ჟურნალისტური პრაქტიკული უნარ-ჩვევები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის ჩამოყალიბებას, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ○ პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა; სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. პროფესორები, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები და სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ ჩართულნი არიან მონაცემთა შეგროვების, შეფასების, ანალიზის პროცესში ყველა საფეხურზე. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ○ თუმცა ინტერვიუებისას გაირკვა, რომ დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ნაკლებად არიან ინფრმირებულები პროგრამაში შესული ცვლილებების შესახებ. ამასთანავე უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული სტუდენტების ინფორმირებისა და სწავლის შდეგების შემუშავებაში ჩართვის მექანიზმი. ○ ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ეფექტურობა დასტურდება დამსაქმებლებთან ინტერვიუებისას. როგორც მათ აღნიშნეს, როგორც სტაჟირებაზე მისული, ისე გასაუბრების შედეგად აყვანილი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მომზადების დონე და რეალური სამუშაო გარემოსთვის საჭირო უნარები აბსოლუტურად აკმაყოფილებს მათი, როგორც დამსაქმებლების მოთხოვნას. ○ პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა; სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ კურიკულუმის რუკა

○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა ○ ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ ინტერვიუები დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დოქტორანტები უკეთ იყვნენ ინფორმირებულები პროგრამის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	√			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც დოქტორანტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება. ○ დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: ➢ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა მასობრივ კომუნიკაციაში, სოციალურ მეცნიერებებში ან სხვა სპეციალობაში; ➢ უცხოური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება (წერითი)); ➢ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; ➢ სადოქტორო კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსი) წარმოდგენა; ➢ დარგობრივი გასაუბრება (მათ შორს სადოქტორო კვლევითი პროექტის - პროსპექტურის შესახებ). ○ მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ○ პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება გასაუბრების შედეგად, რომლის დროსაც მოწმდება დოქტორანტობის კანდიდატის პროფესიული ცოდნა და გამცდილება. ამასთანავე, მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ თუ დოქტორანტობის კანდიდატს არ აქვს მაგისტრის, ან ბაკალავრის ხარისხი ჟურნალისტიკასა და/ან მასობრივ კომუნიკაციებში, იგი ვალდებულია თავისუფალ მსმენელად დაესწროს სამაგისტრო საფეხურზე სასპეციალიზაციო სასწავლო კურსს, „ციფრული მედია და ინოვაციების“ კურიკულუმის საბაზისო სასწავლო კურსს - „მასობრივი კომუნიკაციის თეორიები და კონცეფციები“. თუმცა პროგრამა არ ითვალისწინებს არანაირ მექანიზმს, რომელიც შეაფასებს მოისმინა თუ არა დოქტორანტმა ხსენებული კურსები.

- უმჯობესი იქნება, დოქტორანტობის კანდიდატის მასობრივი კომუნიკაციის თეორიებისა და კონცეფციების და ციფრული მედიის შესახებ ფორმალურად შემოწმდეს გასაუბრებისა და/ან გამოცდის სახით.
- ასევე, ვინაიდან პროფესიული ლიტერატურის უმრავლესობა ინგლისურენოვანია, უმჯობესი იქნება მისაღებ პროცედურაში დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება არა ნებისმიერი უცხოური ენის ცოდნა, არამედ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ვინაიდან სხვა შემთხვევაში დოქტორანტს გაუჭირდება თანამედროვე ლიტერატურაზე მუშაობა.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. თუმცა, რიგ შემთხვევებში შეინიშნება მონაცემების განახლების საჭიროება, მაგ. პროგრამის მოცულობა ჯერ კიდევ კრედიტებითაა გამოსახული. შესაბამისად, პროგრამის შესახებ განთავსებული ინფორმაცია საჭიროებს განახლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო დებულება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტების პროფესიული ცოდნის შემოწმებას გასაუბრების და/ან გამოცდის მეშვეობით
- სასურველია პროგრამის დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს უცხო ენის კომპეტენცია და უზრუნველყოფილ იქნას განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც (მათ შორის პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისი ინფორმაციის).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა შედგენილია თსუ-ის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა დაგეგმილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, ისევე როგორც დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის შემუშავების მთელ პროცესში.
- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 30 ECTS -ია და მისი სტრუქტურა მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით კომპონენტს. პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელს, ანუ 6 სემესტრს შეადგენს. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტები იშვიათად ასრულებენ სწავლას 6 სემესტრის მერე და გაცილებით უფრო დიდხანს ანდომებენ სადოქტორო ნაშრომის დასრულებასა და დაცვას. ეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული საერთო პრობლემაა და მისასალმებელია, რომ პროგრამის ხელმძღვანელების მტკიცებით, დოქტორანტთა დიდი ნაწილი მაინც ახერხებს დაცვაზე გასვლას, რაც უდავოდ მისასალმებელია
- სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილია:
  - კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი;
  - დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი;
  - პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი.
- სასწავლო კომპონენტის არჩევითი ნაწილია:
  - პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი;
  - საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები - 5 კრედიტი.

- კვლევითი კომპონენტის ნაწილია:
    - სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1;
    - სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2;
    - სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3;
    - სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.
- პროგრამის შინაარსი იმგვარადაა აგებული, რომ ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. ამასთანავე ცალკეული კომპონენტისათვის გათვალისწინებული დრო და კრედიტები სრულიად ადეკვატურია სწავლის შედეგების მისაღწევად.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში გვხვდება ეროვნული კვალიფიკაციების ძველი ჩარჩოს ტერმინოლოგია. მაგ. სფეროსა და დარგის ნაცვლად - სპეციალობა. სასურველია, უნივერსიტეტმა დოკუმენტაცია შესაბამისობაში მოიყვანოს ახალ ჩარჩოსთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კომპონენტის სილაბუსები
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის დოკუმენტაცია შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის დასახელება, ავტორის ვინაობა, ლექტორის/ლექტორების ვინაობა, სტატუსი და აკადემიური ხარისხი, სასწავლო კურსის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი), სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტების რაოდენობა და სტუდენტის საათობრივი დატვირთვა; სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები); სწავლების მეთოდები, შეფასების სტრუქტურა, კრიტერიუმები და დეტალური სქემა; პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსებში სტუდენტთა სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება კურიკულუმის რუკით. კურსების მიზნები და შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა სტუდენტებისათვის) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე, ლოგიკურია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების თანაფარდობა, ითვალისწინებს კურსის თავისებურებებს, სწავლის მეთოდებს (ლექცია, სემინარი, კვლევითი მუშაობა და სხვ.) და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაზომვადია და ფასდება.
- დარგობრივი სემინარი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სემინარია, სადაც სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე (დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ არის დისერტაციის შემადგენელი ნაწილი); სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების მიხედვით, სტუდენტმა უნდა მიიღოს დარგობრივ სფეროში აქტუალური საკითხების შესწავლის გამოცდილება; ჩამოაყალიბოს და კრიტიკულად შეაფასოს დარგობრივ სფეროში არსებული აქტუალური საკითხები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ შესწავლას, ამასთან უნდა გაეცნოს და გაანალიზოს დარგობრივი ლიტერატურის სფეროს ველში არსებული კვლევები და მიღწევები.
- სავალდებულო და დამატებითი საკითხავი ლიტერატურა წარმოდგენილი სასწავლო კურსში "კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში" შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა და სილაბუსები;
- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; დოქტურანტურის მინიმალური სტანდარტი ;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანატებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

--

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან. პროგრამის შინაარსი ორიენტირებულია სტუდენტების მიერ სწავლებისა და სამეცნიერო აქტივობების პრაქტიკული უნარების ათვისებაზე და მათ ჩართვაზე სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.
- სასწავლო კომპონენტთაგან ერთ-ერთი - პროფესორის ასისტენტობა (5 ECTS) - ორიენტირებულია შესაბამისი პედაგოგიური უნარების გამომუშავებაზე და გულისხმობს დოქტორანტების მიერ BA და MA დონის სტუდენტებისთვის ლექციებისა და სემინარების ჩატარებას, ასევე, შუალედური და საბოლოო გამოცდების მომზადებას, საგამოცდო ნაშრომების გასწორებას, რეცენზირებას.
- პროგრამაში კვლევითი კომპონენტი ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფს დოქტორანტის მომზადებას დასკვნითი კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და ჩატარებისთვის. სადოქტორო ნაშრომის მომზადებას წინ უნდა უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი კურსები, რომლებიც დარგის შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში ეხმარება სტუდენტებს. გარდა სასწავლო კურსებით გათვალისწინებულისა, პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამეცნიერო კვლევით პროექტ 1-ს; სამეცნიერო კვლევით პროექტ 2-ს; წინასწარ სადისერტაციო დაცვასა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
- სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2 და წინასწარი სადისერტაციო დაცვა მხოლოდ განმავითარებელი შეფასებას მოიცავს, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება. კვლევითი პროექტებში გათვალისწინებულია სადისერტაციო თემის/მისი ცალკეული ნაწილის გარშემო დოქტორანტის მიერ სათანადო მასალის წარმოდგენა და პრეზენტაცია. კვლევითი პროექტი ასახავს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. პრეზენტაციისას დოქტორანტი წარმოაჩენს რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, ასევე, მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, აკეთებს მომზადებულ ან რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზს.
- სადისერტაციო ნაშრომი არის კვლევითი კომპონენტის ფინალური ნაწილი და წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. პროფესორის ასისტენტობისა და კვლევითი კომპონენტების შესრულების მიმდინარეობაში სტუდენტს ხელმძღვანელობს კვალიფიციური პროფესორი, რომელიც შეირჩევა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, დაცვის, შეფასებისა და აკადემიური ხარისხის მინიჭების სტანდარტები და წესები გაწერილია შესაბამის დოკუმენტაციებში და მკაფიოდაა ფორმულირებული.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა სადოქტორო ნაშრომებს, რომელნიც გამოირჩევა საკვლევი თემის აქტუალურობითა და აკმაყოფილებს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სამეცნიერო კონფერენციების მასალები, ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ინფორმაციები:

- სადისერტაციო ნაშრომები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტები;
- (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
- საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება; დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება.
- ინერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან.
- დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. სასწავლო კურსის სილაბუსებით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

- სწავლების პროცესში გამოყენებულია მეთოდები:ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ინდუქცია, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, შემთხვევის ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში (Brain storming); ჯგუფური და ინდივიდუალურ კვლევით პროექტი და მისთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა შეფასების ფორმები და მეთოდები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის და გამჭირვალეა.
- სასწავლო კურსების შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან, რისი დეტალური აღწერაც მოიპოვება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.
- ასევე პროგრამაში შედის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ფასდება ერთჯერადად მაქსიმალური 100 ქულით, და ასევე გააჩნია შეალედური განმავითარებელი შეფასება, რომელიც ტარდება კომისიური წესით და იქმნება ოქმი. დოქტორანტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ხელმძღვანელის შესაფასებას; შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; სემესტრის დასკვნით შეფასებას.
- შეფასებასთან ერთად სტუდენტი იღებს უკუკავშირს გაწეული მუშაობის შესახებ, რათა უკეთ შეძლოს მომავალი სწავლების/კვლევითი მუშაობის დაგეგმვა.
- პროგრამას გათვალისწინებული აქვს ქულის გასაჩივრებისა მექანიზმები, რომელნიც ცნობილია სტუდენტებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
- პროგრამის სილაბუსები.
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
